ჯგუფი ენერგო-პრო

უსაფრთხოების პოლიტიკა

2026

ENERGO-PRO

უსაფრთხოების პოლიტიკა („პოლიტიკა“)

1. შესავალი

ENERGO-PRO a.s.-ის (შემდგომში „ENERGO-PRO“) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად „ჯგუფი“) ძირითად საქმიანობას განახლებადი ენერგიის წარმოება წარმოადგენს. ჯგუფის დამატებით საქმიანობებში შედის ელექტროენერგიის განაწილება, მიწოდება და ვაჭრობა.

ENERGO-PRO ჯგუფი მოწოდებულია უზრუნველყოს თანამშრომლების, ჩვენი ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეების, ვიზიტორებისა და იმ საზოგადოების უსაფრთხოება, რომლებზეც გავლენას ახდენს ჩვენი საქმიანობა. ENERGO-PRO ხელმძღვანელობს შემდეგი საერთაშორისო პრინციპებით: ადამიანის უფლებების გაერთიანებული ერების საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპები, უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობითი პრინციპები და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაცია სამუშაო ადგილზე ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ.

აღნიშნული პოლიტიკა ჯგუფის დონეზე ადგენს უსაფრთხოების მართვის სტანდარტს ENERGO-PRO ჯგუფის ოპერაციებსა და პროექტებში და განსაზღვრავს მოთხოვნებს უსაფრთხოების რისკების იდენტიფიცირების, პრევენციისა და მართვისთვის, მოქმედი კანონმდებლობის, კარგი საერთაშორისო ინდუსტრიული პრაქტიკის (GIIP), ჯგუფის ქცევის კოდექსის, ჯგუფის ადამიანის უფლებათა პოლიტიკისა და ENERGO-PRO ჯგუფის სხვა იდენტური პოლიტიკების შესაბამისად. ქვეყნის დონეზე მოქმედი პროცედურები, გეგმები და კონტროლის მექანიზმები შეიძლება განსაზღვრავდეს უფრო დეტალურ მოთხოვნებს ადგილობრივი სამართლებრივი, ოპერაციული და უსაფრთხოების პირობების გათვალისწინებით, იმ პირობით, რომ ისინი შეესაბამება ამ ჯგუფის პოლიტიკას.

აღნიშნულ პოლიტიკაში ჩამოყალიბებული მოთხოვნები ეფუძნება ENERGO-PRO ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებულ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს უსაფრთხოების სფეროში, მათ შორის თანამშრომლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ მოპყრობას, უსაფრთხოების პერსონალის ქცევას, ასევე კონფლიქტების მართვასა და ძალის გამოყენების საკითხებს.

2. მიზნები

პოლიტიკის მიზნებია:

- უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა ყველა თანამშრომლისთვის, ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებისთვის (კონტრაქტორები, ქვეკონტრაქტორები და სხვები) და ვიზიტორებისთვის;
- ოპერაციების, ობიექტებისა და აქტივების მთლიანობის და უსაფრთხოების დაცვა;
- ნდობაზე, ურთიერთპატივისცემასა და კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება ადგილობრივ საზოგადოებასთან, საჯარო უწყებებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან;
- ხელმძღვანელობის და თანამშრომლების პასუხისმგებლობის განსაზღვრა და გაძლიერება;

- ადამიანის უფლებებისა და უსაფრთხოების მიმართულებით კარგი საერთაშორისო ინდუსტრიული პრაქტიკის (GIIP) პატივისცემა და მისი პრაქტიკაში დანერგვა.

3. მმართველობა

ENERGO-PRO ჯგუფის და ყველა შვილობილი კომპანიის დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელნი არიან ამ პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფაზე.

ხელმძღვანელი რგოლი პასუხისმგებელია იმაზე, რომ აღნიშნული პოლიტიკა ინტეგრირებული იყოს შესაბამის საქმიან პროცესებსა და ოპერაციებში.

4. მოქმედების სფერო

პოლიტიკა ვრცელდება ყველა თანამშრომელზე და ჩვენს ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებზე.

ეს პოლიტიკა ვრცელდება ENERGO-PRO-ზე, ასევე ENERGO-PRO ჯგუფის იმ შვილობილ კომპანიებზე, რომლებიც ოპერირებენ ბულგარეთსა და საქართველოში და შვილობილ კომპანიაზე Murat Nehri Elektrik Üretim A.Ş., რომელიც ოპერირებს თურქეთში.

იგი ასევე ვრცელდება ENERGO-PRO ჯგუფის ყველა სხვა შვილობილ კომპანიაზე, თუმცა მათ შეუძლიათ მიმართონ ჯგუფის დირექტორთა საბჭოს ამ პოლიტიკის კონკრეტული დებულებებისგან გათავისუფლების მოთხოვნით. ჯგუფის დირექტორთა საბჭოს შეუძლია დაეთანხმოს ასეთ მოთხოვნას იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნდება, რომ გათავისუფლება ეფუძნება ობიექტურ და კომერციულად გონივრულ საფუძვლებს და ასევე შეესაბამება ადგილობრივ კანონმდებლობას, ჯგუფის ქცევის კოდექსს და სავალდებულო ფინანსურ ვალდებულებებს. დამტკიცებული გამონაკლისები დოკუმენტირდება და გაზიარდება ჯგუფის ESG დეპარტამენტთან.

ჩვენ ველით, რომ ჩვენთან და ჩვენი სახელით მომუშავე პირები დაიცავენ ანალოგიურ სტანდარტებს და საჭიროების შემთხვევაში, ჩვენი ბიზნეს პროცესების ფარგლებში შეიძლება შევაფასოთ ამ პრინციპებთან მათი შესაბამისობა.

5. მოთხოვნები

ENERGO-PRO ცნობს/აღიარებს უსაფრთხოების ცნობიერებისა და დისციპლინის კულტურის განვითარების აუცილებლობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმიანობა ხორციელდება დისტანციურ ან რთულ გარემოში.

ამ პოლიტიკით განსაზღვრული კონკრეტული მოთხოვნები მიზნად ისახავს ჯგუფის დონეზე მინიმალური სტანდარტის ჩამოყალიბებას და უნდა იქნეს გამოყენებული შესაბამისობის მიხედვით თითოეული ქვეყნის, ოფისის, პროექტის ან ოპერაციის სამართლებრივი, ოპერაციული და უსაფრთხოების კონტექსტის გათვალისწინებით.

1. უსაფრთხოების მართვა

ENERGO-PRO

ბიზნეს ერთეულის დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია იმაზე, რომ ყველა ოფისი და ოპერაციები/პროექტები იყოს დაცული და რომ უსაფრთხოების მართვისთვის დანიშნული იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლები.

ყველა სამშენებლო და ოპერაციული ობიექტი ვალდებულია ჰქონდეს უსაფრთხოების შესაბამისი ზომები და კონტროლის მექანიზმები, მათ შორის, საჭიროების მიხედვით, სამშენებლო/ოპერაციული უსაფრთხოების რისკების შეფასება, ასევე უსაფრთხოების ინციდენტების ანგარიშგება და მართვა.

საფრთხის დონის გათვალისწინებით, იმ აქტივებისთვის, რომლებიც განთავსებულია უსაფრთხოების რისკის შემცველ გარემოში, უნდა არსებობდეს უსაფრთხოების მართვის გეგმები.

ბიზნეს ერთეულის დირექტორთა საბჭო ასევე პასუხისმგებელია უსაფრთხოების მნიშვნელოვნების (მატერიალურობა) შეფასებაზე — შესაბამისი საფრთხეებისა და რისკების ანალიზის საფუძველზე და ამის მიხედვით საჭირო უსაფრთხოების ზომების დონის განსაზღვრაზე.

უსაფრთხოების მართვაში გათვალისწინებული იქნება შემდეგი ფაქტორები:

I. მაღალი უსაფრთხოების რისკის მქონე ბიზნეს ერთეულ(ებ)ისთვის აქტივების კლასიფიკაცია: ნებისმიერი რისკის შეფასებამდე, პროექტის ყველა აქტივი უნდა იყოს იდენტიფიცირებული და კატეგორიზებული ოთხ ძირითად კატეგორიად: ადამიანური (პერსონალი და კონტრაქტორები), ფიზიკური (ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა), ინფორმაცია (ინტელექტუალური საკუთრება და მონაცემები) და რეპუტაცია (ბრენდის მთლიანობა). თითოეულ კატეგორიას უნდა მიენიჭოს კრიტიკულობის დონე დაცვის ზომებისა და რესურსების განაწილების პრიორიტეტულობის დასადგენად.

II. უსაფრთხოების რისკების შეფასებები: ყველა ბიზნეს ერთეულმა უნდა შეაფასოს უსაფრთხოების რისკები; რისკის შეფასების სიღრმე და სიმტკიცე დამოკიდებული იქნება კონკრეტული ბიზნეს ერთეულის უსაფრთხოების მნიშვნელოვნებაზე. შეფასებები ჩატარდება პროექტთან/ოპერაციებთან დაკავშირებული არსებული და პროგნოზირებადი უსაფრთხოების რისკების იდენტიფიცირების მიზნით და მოიცავს რისკების მართვის კონტროლს და შემამსუბუქებელ ზომებს. დადგენილი კონტროლის განსახორციელებლად, ასევე მათი შენარჩუნებისა და მონიტორინგის უზრუნველსაყოფად უნდა გამოიყოს საკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსები.

    შეფასება უნდა ითვალისწინებდეს საერთაშორისო, სამართლებრივ და კომპანიის მოთხოვნებს. რისკის შეფასებები გადაიხედება საფრთხის დონის მიხედვით ან მნიშვნელოვანი უსაფრთხოების მოვლენის ან ოპერაციების ცვლილების შემდეგ. რისკის შეფასებების სიხშირე განისაზღვრება (i) ისტორიული; (ii) პოლიტიკური; (iii) სოციალურ-ეკონომიკური; (iv) ეთნიკური საკითხებით; (v) რელიგიური მოსაზრებებით; (vi) ტერორისტული ჯგუფების ან ექსტრემისტების არსებობით ან აღქმული არსებობით; (vii) ოპორტუნისტული კრიმინალური აქტივობით; (viii) სამართლებრივი და შესაბამისობის; (ix) მდებარეობით; და (x) მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი კონფლიქტით.

მაღალი დონის, განსაკუთრებული ქვეყნის მასშტაბის უსაფრთხოების რისკები შეიძლება დროდადრო შეფასდეს ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ ბიზნეს ერთეულ(ებ)თან თანამშრომლობით.

რისკის შეფასებები გაითვალისწინებს შემდეგ საფრთხეებს:

ფიზიკური უსაფრთხოების საფრთხეები:

- ✓ შეიარაღებული თავდასხმა (ტერორისტული ან კრიმინალური)
- ✓ ადამიანის გატაცება, გამოსასყიდი და გამოძალვა
- ✓ ქურდობა და ვანდალიზმი
- ✓ ეროვნული ან ადგილობრივი სამოქალაქო არეულობა
- ✓ მასპინძელი ქვეყნის მთავრობის არასტაბილურობა ან კოლაფსი
- ✓ ოპერატიული და გარემოსდაცვითი საფრთხეები
- ✓ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საფრთხეები
- ✓ განთავსებასთან დაკავშირებული რისკები
- ✓ გეოგრაფიული და კლიმატური მოვლენები
- ✓ საგანგებო დახმარებაზე დისტანცია და შეზღუდული წვდომა
- ✓ სოციალურ-ეკონომიკური დაძაბულობა
- ✓ ეთნიკური ან რელიგიური კონფლიქტები
- ✓ საზოგადოებასთან კონფლიქტები ან გადაჭარბებული საჩივრები
- ✓ ტერორისტული ან ექსტრემისტული ჯგუფების არსებობა ან აღქმული არსებობა
- ✓ სოციალურ-პოლიტიკური და საზოგადოებასთან დაკავშირებული საფრთხეები

არაფიზიკური საფრთხეები:

- ✓ დაშინება ან იძულება
- ✓ თანამშრომლების, მათ შორის პროფკავშირის წევრების მხრიდან მუქარა
- ✓ ეკონომიკური იძულება, მათ შორის შანტაჟი
- ✓ რეპუტაციის ან ბრენდის დაზიანება
- ✓ ინფორმაციული და ტექნოლოგიური საფრთხეები
- ✓ IT სისტემის შეფერხებები და ოპერაციული შეფერხებები
- ✓ კიბერუსაფრთხოების რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს ოპერაციებზე, ინფრასტრუქტურასა და პერსონალურ მონაცემებზე
- ✓ კულტურული გაუგებრობები და ადგილობრივი მგრძნობელობა

III. უსაფრთხოების მართვის გეგმები: მაღალი რისკის მქონე უსაფრთხოების გარემოში განლაგებულ ბიზნეს ერთეულ(ებ)ს უნდა ჰქონდეს(თ) უსაფრთხოების მართვის გეგმები. ეს გეგმები მორგებული იქნება პროექტის/ოპერაციების მოთხოვნებზე და იქნება მიზანთან შესაბამისობაში. გეგმებში ახსნილი იქნება, თუ როგორ უზრუნველყოფს თითოეული პროექტი/ოპერაცია უსაფრთხოებას და შეამცირებს მასთან დაკავშირებულ რისკებს. გეგმებში გათვალისწინებული იქნება ამ ტერიტორიის სირთულეები, მათ შორის კულტურული, გეოგრაფიული და პოლიტიკური გავლენის გათვალისწინება. უსაფრთხოების მართვის გეგმაში ნათლად იქნება მითითებული, რომ ძალის გამოყენება უნდა იყოს პროპორციული, კანონიერი და მკაცრად შემოიფარგლოს იმ სიტუაციებით, როდესაც ეს აუცილებელია სიცოცხლის დასაცავად ან სერიოზული ზიანის თავიდან ასაცილებლად.

როლები და პასუხისმგებლობები უნდა განისაზღვროს იდენტიფიცირებული რისკების დონეების მოსაგვარებლად, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი შეესაბამებოდეს რისკების დონესა და სირთულეს და გამოყენებული იყოს ოპერაციაზე.

უსაფრთხოების მართვის გეგმა მოიცავს ინციდენტების მართვისა და ანგარიშგების ნაწილს. აღნიშნული ნაწილი ასახავს უსაფრთხოების ინციდენტების იდენტიფიცირების, ანგარიშგების, შეფასების, მართვისა და მათზე რეაგირების თანმიმდევრულ მიდგომას. იგი ასევე განსაზღვრავს ინციდენტების მართვისა და ანგარიშგების როლებსა და პასუხისმგებლობებს.

IV. ბიზნესის უწყვეტობის გეგმა (BCP): მაღალი რისკის მქონე ბიზნეს ერთეულ(ებ)ი მოამზადებენ ბიზნეს ერთეულის სპეციფიკურ საფრთხის გარემოზე მორგებულ BCP-ს. ეს გეგმები უნდა განსაზღვრავდეს მატერიალიზებული საფრთხეების (მაგ. შეიარაღებული თავდასხმები, გატაცებები ან IT დარღვევები) დაუყოვნებლივი რეაგირების მკაფიო პროტოკოლებს და ასევე განსაზღვრავდეს აღდგენის ნაბიჯებს ოპერაციების მდგრადობის მინიმალური შეფერხებით უზრუნველყოფის მიზნით.

V. საგანგებო სიტუაციებისა და ევაკუაციის დაგეგმვა: უსაფრთხოების საგანგებო სიტუაციები გათვალისწინებული იქნება ინდივიდუალური აქტივის საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმაში. გარდა ამისა, მაღალი რისკის მქონე ბიზნეს ერთეული(ები) შეინარჩუნებენ უსაფრთხოების ინციდენტებზე რეაგირების გეგმას (SIRP) და ევაკუაციის პროცედურებს, მათ შორის ევაკუაციის მარშრუტებს, რომლებიც შექმნილია უსაფრთხოების ინციდენტებზე კოორდინირებული და ეფექტური რეაგირების უზრუნველსაყოფად.

VI. უწყვეტი მიმოხილვა და გაუმჯობესება: უსაფრთხოების გეგმები და კონტროლის მექანიზმები რეგულარულად უნდა კონტროლდებოდეს და განახლდეს ნებისმიერი მნიშვნელოვანი ინციდენტის შემდეგ. მოვლენის შემდგომი შეჯამების პროცესი გამოავლენს ხარვეზებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს შემარბილებელი ზომების ადაპტირება, პროაქტიული და მიზნის შესაბამისი შენარჩუნება.

2. უსაფრთხოების კონტრაქტორების სათანადო შემოწმება

უსაფრთხოების კონტრაქტორების (თანამშრომლების) დაქირავებამდე, ENERGO-PRO წარმომადგენლობითი ქვეყნ(ებ)ის ოფის(ებ)ში ჩაატარებს პოტენციური უსაფრთხოების კონტრაქტორის (თანამშრომლების) სათანადო შემოწმებას, რათა დადგინდეს მათი ადამიანის უფლებების დაცვის ისტორია, შესაბამისი კვალიფიკაცია და შესაბამისობა სათანადო სამართლებრივ მოთხოვნებთან. ადამიანის უფლებების შესაბამისობის შეფასების (HRCA) ნიმუშის კვლევა ხელმისაწვდომია მთავარი ოფისის მოთხოვნის შემთხვევაში სათანადო შემოწმების ჩასატარებლად. უსაფრთხოების კონტრაქტორები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება ყველა თანამშრომლისთვის, მათ შორის ტრენინგების ჩატარება დასაქმებულებთან, თემებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან შესაბამისი ქცევის შესახებ, მათი როლის შესაბამისად. ამ ტრენინგის არარსებობის შემთხვევაში, ENERGO-PRO-ს ადგილობრივი ქვეყნის ოფისები ჩაატარებენ აღნიშნულ ტრენინგს.

3. თემები და ადგილობრივი ხელისუფლება

ობიექტის უსაფრთხოების გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში აუცილებელია საზოგადოების მიმართ შესაძლო ზემოქმედებების გათვალისწინება. უსაფრთხოების პერსონალმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს შესაბამის სოციალურ გუნდებთან, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული უარყოფითი ზემოქმედება ადგილობრივ თემებზე და საჭიროების შემთხვევაში, ხელი შეუწყოს შესაბამის კომუნიკაციასა და ჩართულობას.

ENERGO-PRO აღიარებს თემებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან კარგი სამუშაო ურთიერთობების დამყარების მნიშვნელობას. ყველა ობიექტზე, სადაც უსაფრთხოების პერსონალი არის განთავსებული, ჩამოყალიბდება შესაბამისი პროცესები თემთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხების მართვისთვის, ობიექტის კონტექსტის გათვალისწინებით.

4. ადამიანის უფლებები

ENERGO-PRO-მ შეიმუშავა ადამიანის უფლებების პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს მოლოდინებს ადამიანის უფლებების სფეროში. ადამიანის უფლებების პოლიტიკა მოიცავს უსაფრთხოებასთან და კონფლიქტთან დაკავშირებულ ადამიანის უფლებების რისკებს.

ENERGO-PRO უნდა უზრუნველყოს, რომ კომპანიის თანამშრომლებმა, კონტრაქტორებმა და უსაფრთხოების პერსონალმა გაიარონ შესაბამისი ტრენინგი ადამიანის უფლებების შესახებ.

5. პასუხისმგებლობა

- უსაფრთხოებაზე საბოლოო პასუხისმგებლობა ეკისრებათ ზედა ხელმძღვანელ რგოლს, მათ შორის ობიექტის მენეჯერებს.
- ზედა ხელმძღვანელმა რგოლმა უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება უსაფრთხო გარემოს დანერგვისა და შენარჩუნებისთვის საკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.
- უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა უსაფრთხოების ინციდენტი და საზოგადოების წევრ(ებ)ისგან მიღებული საჩივარი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ზედა ხელმძღვანელ რგოლს, მათ შორის გამოძიების ანგარიშები და შესაბამისი მაკონტროლირებელი ზომები.

6. კომუნიკაცია

ეს პოლიტიკა მინიმუმ წელიწადში ერთხელ ეცნობება ყველა თანამშრომელსა და ღირებულების ჯაჭვის მონაწილეებს სხვადასხვა არხის მეშვეობით, მათ შორის ახალ თანამშრომლებს ინტეგრაციის პროცესში, ტრენინგების, ჩვენი კორპორაციული ვებგვერდის, ელფოსტისა და SMS შეტყობინებების, ოფისის პოსტერების, კონტრაქტორებთან დადებული ხელშეკრულებებისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

გარდა ამისა, თითოეული ბიზნეს ერთეული ვალდებულია წარმოადგინოს, როგორ ახორციელებს ამ პოლიტიკის ინტეგრაციასა და შესაბამისობას, მათ შორის უსაფრთხოების კონტრაქტორების სათანადო შემოწმებას (due diligence), ტრენინგებს და ამ მოთხოვნების კომუნიკაციას მთელი ჩვენი ღირებულების ჯაჭვის მასშტაბით.

7. გავრცელება

ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია კომპანიის ვებგვერდზე, ინტეგრირებულია ბიზნესის სტანდარტული პირობების შერჩეულ ნაწილებში და შეიძლება რეგულარულად გადაიხედოს ჩვენი დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე და მარეგულირებელ ცვლილებებზე რეაგირების ფარგლებში.

8. ძალაში შესვლა

პოლიტიკის ეს ვერსია ძალაში შედის და მოქმედია 2026 წლის მაისიდან.